



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



განკარგულება № 95

2011 წლის 22 ივლისი

ქალაქი ხაშური

მანანა ქიტიაშვილისათვის ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. № 19^ა –ში მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში მშენებარე სავაჭრო-საოფისე და საცხოვრებელი ფართისთვის სააკადის ქუჩის მხრიდან არსებულ ტროტუარზე სარდაფში ჩასასვლელი კიბის უჯრედის, პანდუსისა და ასასვლელი კიბის მოწყობის ნებართვის გაცემის შესახებ

ქ. ხაშურში სანაპიროს ქ. №81-ში მცხოვრები მანანა ქიტიაშვილს ესაჭიროება ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. №19^ა-ში მშენებარე სავაჭრო-საოფისე და საცხოვრებელი ფართისთვის სააკადის ქუჩის მხრიდან არსებულ ტროტუარზე სარდაფში ჩასასვლელი კიბის უჯრედის მოწყობა, პანდუსისა და ასასვლელი კიბის უჯრედის მოწყობა წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის მიხედვით.

სარდაფში ჩასასვლელი კიბის უჯრედის მოწყობის, პანდუსისა და ასასვლელი კიბის უჯრედის მოწყობისათვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ მე-V თავის, 30-ე მუხლის 1 და 2 პუნქტების შესაბამისად სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (საზოგადოებრივი ტერიტორიის მეპატრონე) გადაწყვეტილება თანხმობაზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:



1. მიეცეს თანხმობა მოქალაქე მანანა ქიტიაშვილს ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. №19^ა – ში მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში მშენებარე სავაჭრო-საოფისე და საცხოვრებელი ფართისთვის სააკადის ქუჩის მხრიდან არსებულ ტროტუარზე წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით სარდაფში ჩასასვლელი კიბის უჯრედის, პანდუსისა და ასასვლელი კიბის მოწყობაზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებამდე დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის, ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ მომზადებული დასაბუთებული წინადადების საფუძველზე გამგებლის წარდგინებით გამოსცეს ბრძანება მოქალაქე მანანა ქიტიაშვილისათვის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით აღნიშნული ფართის გადაცემის თაობაზე და უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებულ პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის.ხაშური, ტაბიძის №2), ხოლო შემდეგ რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

  დავით ლომიძე